სამეცნიერო კვლევების
დეპარტამენტის
წლიური მუშაობის ანგარიში
2020 წელი

საერთაშორისო თანამშრომლობა:

- ევროკავშირის პროგრამის ERASMUS+ მიერ დაფინანსებული პროექტის - CBHE (ERASMUS+) Raising Research Capacity of Georgian HEIs through developing R&D units / HERD 598207-EPP-1-2018-1-GE-EPPKA2-CBHE-SP - ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში, სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა:
- დრეზდენის ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ სეზონურ სკოლაში მონაწილეობა,
- კვლევის მენეჯმენტისთვის შექმნილი ახალი სოფტის GRIS ტესტირებაში აქტიური მონაწილეობა,

სამეცნიერო ელექტრონული ჟურნალი „მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია“

კონსერვატორიისა და ინტერნეტ აკადემიის ერთობლივი ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალის „მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია“ 2020 წლის პირველ და მეორე ნომრებზე მუშაობა: ატვირთული მასალების შეგროვება, რედაქტირება, დაკაბადონება.

გამოცემულ ნომრებში შესული სტატიების ორენოვანი ანოტაციების მომზადება ტექინფორმის მიერ მოთხოვნილი სტანდარტის მიხედვით.

კონფერენციები :

1) ჩატარდა რესპუბლიკური მეთოდური კონფერენცია-ფორუმი „სამუსიკო დისციპლინების სწავლების მეთოდიკა“. ღონისძიების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები:

- სამეცნიერო სესიები (19-20 ნოემბერი);
- კონსერვატორიის პედაგოგებმა ჩაწერეს 10 ვიდეო-ლექცია მუსიკის ისტორიის, თეორიის, ეთნომუსიკოლოგიის, საეკლეიო მუსიკის პრობლემატიკის შესახებ(ატვირთულია კონსერვატორიის სოც. ქსელში და youtube-არხზე);
- სოლო, კამერული და ნაწილობრივ საოპერო სიმღერის რეპერტუარის აკომპონემენტის ჩაწერა კონსერვატორიის მცირე დარბაზში;
- ტრენინგები დისტანციური სწავლების სკითხებზე.

2) „თბილისის IV საერთაშორისო მუსიკოლოგიური კონფერენცია - ეროვნული და ინტერნაციონალური მუსიკაში“ (ეძღვნება ზაქარია ფალიაშვილის დაბადებიდან 150 წლისთავს (22-24 აპრილი, 2021) - მოსამზადებელი სამუშაოები

სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა :

- „თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ.სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის, საეკლესიო მუსიკის ლაბორატორიისა და ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის ფონდებით სარგებლობის წესის“ შემუშავება - სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი სამეცნ. კვლევების დეპ. უფროსი მ. ნადარეიშვილი

- თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში პროფესორ-მასწავლებელთა, კონცერტმაისტერებისა და მოწვეული პერსონალის დატვირთვების მოდელის შესამუშავებლად და მოსამზადებლად შექმნილი საკონსულტაციო ჯგუფი - სამუშაო ჯგუფის ერთ-ერთი ხელმძღვანელი სამეცნ. კვლევების დეპ. უფროსი მ.ნადარეიშვილი

სხვა ტიპის სამუშაო:

- კონსერვატორიის აკადემიური პერსონალის წლიური სამეცნიერო-შემოქმედებითი მუშაობის ანგარიშების მოთხოვნა, თავმოყრა, მოწესრიგება, ციფრულ ფორმატში გადატანა; 2019-2020 წწ. პერსონალის მიერ დაგეგმილი სამუშაოს შესრულების ანალიზი;
- მუშაობის დაწყება მოქმედი დოკუმენტის - „თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვის გარეშე მუშაობის ნორმები (კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი; საშემსრულებლო ფაკუტლეტი) გადამუშავებაზე;
- ახალი კონფერენციების, საგრანტო პროექტების, სტიპენდიების და სხვ. შესახებ ინფორმაციის მოძიება, გავრცელება; პერსონალის კონსულტაციები პროექტის მომზადების პროცესში; კონსერვატორიაში პროექტის შესარჩევი ეტაპის ტექნიკური უზრუნველყოფა;
- პლაგიარიზმის პრევენციის ღონისძიებებისადმი მიძღვნილ შეხვედრებში მონაწილეობა;
- კონსერვატორიის ვებ-გვერდზე „კვლევების“ განყოფილების ინფორმაციის განახლება;
- პერმანენტულად მუშაობა ნორმატიულ დოკუმენტაციაზე, მიმდინარე კორესპონდეციაზე.